

„გალში მორიგი შეხვედრა გაიმართა“

გალში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში 46-ე შეხვედრა გაიმართა.

მონაწილეებმა წინა შეხვედრის შემდგომ პერიოდში დაფიქსირებული ინციდენტები, გადაადგილების თავისუფლება, გადასასვლელი პუნქტების გაუქმების შედეგად მოსახლეობისთვის შექმნილი პრობლემები და უკანონო დაკავებები განიხილეს.

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებმა კიდევ ერთხელ დააყენეს საქართველოს მოქალაქის - გიგა ოთხოზორიას მკვლელობაში ბრალდებულის რაშიდ კანჯიოღლის დაკავების საკითხი.

გალში მომდევნო შეხვედრა 28 ივნისს გაიმართება.

ინციდენტების პრევენციის და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში მიმდინარე შეხვედრებზე ქართულ მხარეს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური და შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი წარმოადგენენ.

31.05.2017 https://eumm.eu/ru/press_and_public_information/press_releases/5877/?year=2017&month=5

„ხუთთვიანი პაუზის შემდეგ რაულ ხაჯიმბამ პრეს-კონფერენცია გამართა“

7 ივნისს, არალიარებული აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტმა პრეს-კონფერენცია გამართა, სადაც ოკუპირებული რესპუბლიკის პოლიტიკურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, მიმდინარე რეფორმებზე და მომავალ საკურორტო სეზონთან დაკავშირებულ საკითხებზე ისაუბრა. პრეს-კონფერენციაზე ე.წ. პრეზიდენტი შეეხო ოკუპირებული აფხაზეთში უკანონო მშენებლობის საკითხს და ხაზგასმით აღნიშნა, რომ კანონით აკრძალულ ტერიტორიაზე ეს მშენებლობები შეწყვეტილ უნდა იქნას ყოველგვარი ანგარიშის გაწევის გარეშე. რაულ ხაჯიმბამ უპასუხა შეკითხვაზე, რომელიც ე.წ. საინვესტიციო პროგრამის პრიორიტეტულ საკითხებს ეხებოდა. მან დამსწრეებს შეახსენა, რომ ამ პროგრამის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს ღონისძიებები, რომლის შედეგადაც ახალი სამუშაო ადგილები და წარმოებები შეიქმნება, რაც ხელს შეუწყობს საბიუჯეტო შემოსავლების ზრდას. ე.წ. პრეზიდენტმა დამსწრეებს განუმარტა, რომ ეკონომიკურ-ფინანსური თვალსაზრისით ყოველი წლის პირველი კვარტალი რთულია და დაამატა, რომ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტისადმი მიმართვის შედეგად, ე.წ. საინვესტიციო პროგრამის რეალიზაციისა და მოხმარებული ელექტროენერჯის დავალიანების დაფარვის მიზნით, რუსეთის ბიუჯეტიდან დამატებით 1 000 000 000 რუბლი გამოიყო.

რაულ ხაჯიმბამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ე.წ. ინვესტპროგრამით გათვალისწინებული ყველა პროექტი რელიზებული იქნება. აგრეთვე, მან დაასახელა აღნიშნული პროგრამის პრიორიტეტული მიმართულებები - სოფლის მეურნეობა, ენერგეტიკა, გზები, წყალმომარაგება და კანალიზაცია. პრეს-კონფერენციაზე, ე.წ. პრეზიდენტმა დე-ფაქტო საპარლამენტო არჩევნების თემაზე საუბრისას განაცხადა, რომ ე.წ. არჩევნები რთულად, მაგრამ ღირსეულად ჩატარდა. ოკუპირებული აფხაზეთის ეკონომიკაში რუსული ივესტიციების თაობაზე საუბრისას, რაულ ხაჯიმბამ განაცხადა; „ინვესტიციებთან დაკავშირებით სიტუაცია არ არის მარტივი, მაგრამ ამის მიზეზი არის ის, რომ

დოკუმენტი, რომელიც საშუალებას მოგვცემს გადავწყვიტოთ ეს საკითხი, მხოლოდ მიმდინარე წლის მათში იქნა ხელმოწერილი. მიუხედავად ამისა, პენსიები და ხელფასები დროულად გაიცემა“. ე.წ. პრეზიდენტმა მიმდინარე რეფორმებზეც ისაუბრა. მისი თქმით, დაწყებულია და უკვე მუსაობს ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნების რეფორმა. პრეს-კონფერენციაზე რაულ ხაჯიმბამ უარყო დე-ფაქტო შს მინისტრის, ასლან კობახიას, გადადგომა. ჟურნალისტებთან შეხვედრის დასასრულს ე.წ. პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ხელისუფლების შტოებს შორის უფლებამოსილების გადანაწილების მომხრეა. „მე ვთვლი, რომ პრემიერ მინისტრი უნდა დაამტკიცოს პარლამენტმა, რითაც მინისტრთა კაბინეტის ხელმძღვანელი პასუხისმგებელი იქნება არა მარტო პრეზიდენტის, არამედ პარლამენტის წინაშე“ -განაცხადა რაულ ხაჯიმბამ.

07.06.2017 ხელმისაწვდომია რუსულენოვან ვებ-გვერდზე ПРЕЗИДЕНТ РА
http://presidentofabkhazia.org/about/info/news/?ELEMENT_ID=5979

„2017 წელს რუსეთის მიერ აფხაზეთის დაფინანსება 2,5 მილიარდ რუბლამდე გაიზარდება“

მოსკოვში, რუსეთის ფედერაციისა და არალიარებული აფხაზეთის რესპუბლიკას შორის სოციალურ-ეკონომიკური თანამშრომლობის მთავრობათაშორისი კომისიის მე-15 სხდომა გაიმართა. რუსეთის ფედერაციის მხარეს ხელმძღვანელობდა ვიცე-პრემიერი ალექსანდრე ხლოპონინი და აფხაზეთურ დელეგაციას აფხაზეთის დე-ფაქტო პრემიერ-მინისტრი ბესლან ბარციცი. სხდომაზე „აფხაზეთის რესპუბლიკის სოციალურად მნიშვნელოვანი და სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების უწყვეტი ენერგომომარაგების უზრუნველყოფის შესახებ“ მოხსენებით 2 გამოვიდა რუსეთის ფედერაციის ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე ვიაჩესლავ კრავჩენკო. **(МИНЭНЕРГО РФ <https://www.minenergo.gov.ru/node/8312>)** სხდომის დასრულების შემდეგ, ალექსანდრე ხლოპონინმა შეხვედრის შედეგებზე ჟურნალისტებთან ისაუბრა. მისი თქმით: „ჩვენ სერიოზულად გვაქვს კორექტირებული საინვესტიციო პროგრამა. ეს განპირობებულია იმით, რომ ყველა პროექტთან დაკავშირებით აფხაზეთის რესპუბლიკის მიერ მომზადდა საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ნუსხა. ჩვენ მზად ვართ 2017 წელს აფხაზეთის დაფინანსება 2,5 მილიარდამდე გავზარდოთ“. ალექსანდრე ხლოპონინმა აღნიშნა, რომ 2018 და 2019 წლებში აფხაზეთის დაფინანსება ყოველ წელიწადს 1,6 მილიარდ რუბლს შეადგენს. თავის მხრივ, აფხაზეთის დე-ფაქტო პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ მიმდინარე წელს არალიარებული რესპუბლიკის დაფინანსება დაგეგმილზე 500 მილიონი რუბლით მეტია. ჩრდილოეთ კავკასიის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის ლევ კუზნეცოვის განცხადებით: „2017-2019 წლებში, საინვესტიციო პროგრამის ფარგლებში, აფხაზეთისთვის დაგეგმილია 5,8 მილიარდი რუბლის გამოყოფა“

08.06.2017. Апсныпресс <http://www.apsnypress.info/news/khloponin-v-2017-godu-obem-finansirovaniyaabkhazii-rossiyskoy-federatsiey-uvelichitsya-do-2-5-milli/>

„ტაჯიკეთის 5 მოქალაქის დაკავება“

აფხაზეთში, დე-ფაქტო უშიშროების სახელმწიფო სამსახურის მიერ რუს კოლეგებთან ერთად გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების შედეგად დაკავებულია ე.წ. ისლამურ სახელმწიფოს ტერორისტულ საქმიანობასთან დაკავშირებული ტაჯიკეთის 5 მოქალაქე.

დაკავებულები რუსეთის მხარეს გადაეცა

08.06.2017 СГБ РА http://sgbra.ru/news_sgb/index.php?ELEMENT_ID=38

„გადამკვეთი პუნქტების დაკეტვა“

ვიდეო მასალა, რომელიც აფხაზეთის ადმინისტრაციულ სასაზღვრო ზოლთან მეორე ოტობაია-ორსანტიას და ნაბაკევი-ხურჩას გადასასვლელი პუნქტების დახურვას ასახავს, რომელიც 6 მარტს მოხდა. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისი საქართველოში აგრძელებს სიტუაციაზე დაკვირვებას და მანდატის ფარგლებში ანგარიშს ევროკავშირის წარუდგენს.

13.04.2017 ევროკავშირის სადამკვირვებლო მისი [iseumm.eu](https://www.youtube.com/watch?v=P-6HpMUT8cU) <https://www.youtube.com/watch?v=P-6HpMUT8cU>

14.04.2017